

გამოდის უოველ-დეე მუშაბათს ბაჲდა

ცულებს ნიშნად „დღეობისა“ ღამს 5კმ.

გაგანა

გამოდის უოველ-დე მუშაბათს ბაჩდა

აღბრუმი

၈၅၁၆၈၈

მართალია, ორივე თანასწორის
ნიჭით და ერთგვარად ეხებიან ერთ-
გვარსავე წრეს, ვაჭრებისას, მაგრამ
ნაყოფი მათის შრომისა კი სულ სხვა-
და-სხვა არის. ადვილათ შესაძლებე-
ლია, ერთ ნაირის ნიჭითა და ხე-

ტელეგრაფები

ახალი ამბები.

ლარიზ შაგირდების დამხმარებელსა
საზოგადოების კასიიამ 61 შაგირი-

რჯულის და სარწმუნოებას თავის
სიბუროს: ათასს სამადლობა

„ნაცარცვის გაყოფის დროს ავაზ
კებს ჩხუბი მოუყვიადათ ერთმანეთს“

ბაჭყალიდებულს თავი მაღლა (ზედა აქვს მიბჯენილი და თუ მცირე რამ საწინააღმდეგო შეხვდა, საღვთო ველარა სჭრის და ზნეობი ძალა საჭირო, მაშინ კი უცბათ ვადება სინანულში, იყრის თავზე ცარს და სრულიად თავ- დამდალებული წალმა-უკუღმა შინდობის...

და ამ ჩხუბში მძიმედ დასტურეს ღალაქიშვილი, რომელსაც ძლიერ ცოცხალს მოესწრო თავის ალაყაფის კარგებამდინ. მეორე დღით ეს ავაზაკი ამ კარებთან ნახეს მკვდარი. მათი ავაზაკთაგანი სომეხი, რომელსაც ღალაქიშვილის სიკვდილი ბრალდება, პოლიციამ მეორე დღესვე დაიჭირა.

მართლის სოფლიდან ძველი-მალაქი გვერდენ, რომ ამ სოფლის გლეხები ერთობ შეწუხებული არიან ადგილობრივ ტყის მეპატრონე თ. ნ. პ—სა და იმის ძმისაგან. მათი სახრის მოჭრა რომ უნდოდესთ, ვერ შეუძლიანთ, ვიდრე ერთი-ათად ბაქს არ გადიხდნენ. მათი ურემი შეშა, ამ ტყიდან გამოტანილი, თითქმის იმ ფასად უჯდებათ, რაც თფილისში ნაყილია. მა თუ ვინმე გახედა უბილეთოდ ტყეში შესვლა, ვაი იმის ბრალი! ოც-და-ათი მცველია ამ ტყეში და იმდენს ურტყემენ, რომ სულის მეტს მრთელს არაფერს გამოატანენო. ამის გამო აქაური გლეხ-კაცობა ნახევარზედ სიმინდის ნაქუჩს სწავს ანუ საქონელთან ბოსელში იოლად გამოდიანო.

შპრილი რედაქტორთან.

ამ წლის „ივერიის“ პირველ წიგნში წავეითებ ახალი წიგნების განჩევა, სადაც ავტორი ეხება ჩემ ნათარგმნ არითმეტიკასა. იმ ნაწილს, რომელშიც ავტორი ცდილობს ჩემი შრომის განჩევისა და დამცირებასა, მე დავსტოვებ უპასუხოთა. ჩემთვის საკმაოა, რომ ამ არითმეტიკაზედ, როგორც ძველის სასწავლებლების კამიტემა, ისე თვით მისმა შიშლილ-სობამ ძველის მთავარ-მართებელმა, შეადგინეს კარგი ანა, ასე რომ, ის მიიღეს მდებალ სასწავლებ-

ლებში სახელმძღვანელოთ. (შარავებლო შრომა, არც ამ პატივს ეღიბებოდა).

მე მხოლოდ შევეხები იმ ნაწილს ხსენებულ შენიშვნისას, რომელშიც ავტორი ცდილობს შეგნოს ჩემ პიროვნობასა, აი რა საზარელი სიტყვებითა:

„ზოგიერთი წმინდა საქმისთვის სწავლებით ჩიჩქანის სკოლი შესება აზრადეს არ უნდა რჩებოდეს დაუწყველი და გამოუშვარებელი“ ანუ „ჩვენ სკოლის დაკარგული უნდა ჰქონდეს, თუ მოჰყიდეს სკოლს იმისთანა ზეციასან საქმეს მხოლოდ მისთვის, რომ განჩიჩქანის იგი და მით თავისი ზარადი ინტერესები წინ წამოაყენოს,“ ანუ „ჩუ თუ მოიხატება ჩამე იმაზე უსამგელსი, რადესაც კაცი თავის საქმეებით სჯლის გონების დამახინჯებას სკოლს უწყობს და სწავს სისხლს უმისოთაც სისხლ ნაგრულ სჯლსა“.

აქ ერთი სიტყვაც არ არის თქმული წიგნის განჩევაზე და არც მე შემეხება რამე, როგორც მკითხველი დანახავს შემდეგის გარემოებებიდან: შემოხსენებული ავტორის ლანძღვა, გინება ემზავება იმ გარემოებას, რომ უცხო კაცმა უცნობ ადამიანს დიდ ქუჩაში ყოველის უმიზეზოთ გინება დაუწყოს, ან იმასა, რომ ხალხის მსაჯულმა სასამართლოში გამოუძიებლათ და დაუმტკიცებლათ მართალკაცს გინება დაუწყოს და სასჯელიც უცნაური გადუწყვიტოს.

საკვირველი ეს არის, რომ ავტორი თავის სიტყვებზე სრულებით არ დაფიქრებულა; სხვათა შორის ის ამბობს, ვითომ ჩემი არითმეტიკა სრულიად გამოუდგარია და იქვე შიშობს, რომ ამ წიგნითა ღადებულობე გამოდრდება და ძალიან ნატრულობს, ნეტავი ის წიგნები არ გაეყდოსო და სხ. თუ უღიროს, და უსარგებლოა ჩემი შრომა, შეიძლება იმითი გამოდი-

დრება? აქტორს ვალი ჰქონდა ჯერ შეეტყუა-რა საშუალობით დაიბეჭდა ჩემი წიგნი, ანუ თუ რა სარგებლობა მივიღე იმაში, და მერე გამოეჩინა შებრალება ჩვენის ხალხისა. ეს ძნელი არ იყო, რადგანაც წიგნი დაიბეჭდა თფილისში. მაგრამ, ჩემდა საშუალოთ, რადგან ეს არ გამოუძიებია, ამის მიზეზით ყოველ შემთხვევაში თავის თავს ამტყუნებს.

ავტორი იმბობს, მეტუშევსკი სამოც გვერდს თავის არითმეტიკისა აბაზათა ჰყიდისო და მ. ღიდებული ძე კი იქიდანვე თავის ნათარგმნს-ათ შაურათაო. რადგანაც უპირველესი მიზეზი ავტორის ჩემზე საზარელის და საზიზღარის ცილის-წამებისა ამაზე არის დაფუძნებული, მეც შემდეგი გარემოება და ანგარიში უნდა შევატყობინოთ:

ეს წიგნი დაბეჭდინა პატივ-ცემულმა ბ. მიხელსონმა თავის ტიპოგრაფიაში თავისივე ხარჯითა; რადგანაც იმან წიგნი დაბეჭდინა თვით ქალაქზე, კარგი სტამბითა, ამისათვის თითო წიგნის დაბეჭდის მოანდომა თითო აბაზი (თუ არ მეტი); სასარგებლოთ თავის ტიპოგრაფიისა დანიშნა წიგნზე თითო შაური და თავისივე სურვილით მე დამინიშნა ჩემი შრომისათვის წიგნზე ორი შაური, ისიც მაშინ, უკეთუ ბ. მიხელსონი ჯერ თავის ხარჯს გაისტუმრებს და შემდეგ გამოცემული წიგნები, სამი ათას ექვსასი, სულ გაიყიდება. ამასთანავე იმანვე (და არა მე) დანიშნა მცირედი ფასი ე. ი. ათი შაურიდან შეიდ შაურამდინ თითო წიგნზე. (ეს ხომ თითონ წიგნის გარეგან ფურცელზეც აწერია). ამისთანავე ჩემ წიგნში არის ორას-ოთხმოც-და-ოთხი გვერდი, და არა სამოცი, როგორც ავტორი ამბობს. თანახმა ვარ, რომ ჩემგან გადმოთარგმნილი არის მარტო სამოცი

გვერდი, ორას ოცდა ოთხი გვერდი რაღა არის? რათ გამოდგება ავტორმა? რას ჰფიქრობდა ისა, თუ სამოც გვერდს ერთი აბაზის შრომა და ხარჯი მოუწოდებოდა, ორას ოცდა-ოთხი გვერდის დაბეჭდვას, ქალაქს და კორრექტურასაც მოუწოდებოდა ხარჯი თუ არა? ალბათ ავტორს ქალაქი არაფრათ მიჰჩია, როდესაც ყოველმა კაცმა იცის, რომ სტამბაში უმეტესი ხარჯი ქალაქში მიდის.

თუ გინდ რომ მე ჩემი ხარჯით გამომეცა წიგნები და ჩემ სასარგებლოთ გამეყიდნა ისინი, ნუ თუ ჩემი საქართველო ისე დაგლახებდა, რომ ერთ პატარა მისთვის სასარგებლო წიგნს შეეძლოს იმისი სისხლის გამოწოვა. ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნება პატარა მაგალითი მოვიყვანო: მსტყვათ, მე სულ ჩემი შრომისა ოცდა-ათი თუმანი მერგება და ეს ფული უნდა მოგროვდეს მთელ საქართველოში, ორ მილიონ ხალხში. თითო სულს რა გადახდება? (ამის გამოანგარიშება მიმინდვია თვით ავტორისთვის). ბანა ამ გვარი საქმით ილუპება ჩემი ხალხი? არა, მე ვარწმუნებ, ხალხსა ღუპავს უსამართლოებანი და იმისთანა კაცის მოქმედებები, რომელზედაც აქ აღარას ვიტყვი.

ო. დიდუბუღიძე.

ქ. თბილისი, 5 თებერვალს.

უცხოეთი

საზრანგეთი. ღებუტატთა პალატაში დიდი ბასი იყო ამტყდარი მესახებ ერთი ტელეგრაფისა, რომელიც არის დაბეჭდილი ინგლისურ ოფიციალურ დოკუმენტების წიგნში. ტელეგრამმა ამბობს, რომ საფრანგეთის მართებლობა შეპირებულია საბერძნეთს

და ზამბახოვობა სარწმუნოებათ გადაქცევათ...

მიმეორებთ, რომ ეს სარწმუნოება არც ერთი ნაციის არ არის!.. მათი საკუთარი მოაზრებულია. მართალია, დღეს ისინი მეპატრონეები არიან, მაგრამ ფეხი კი არაფერზედ ედგმით და ერთის შეცაცხანებით, ერთის ჰაი, ჰაით! ბურტყლივით წაეღენ, მათ ქალაქელობას ბოლო მოეღება და ვერც არავის არგებენ... შემცდარი არიან ისინი, ვინც იმათგან იმედობენ. იმათი წრე უმნიშვნელოა და მოკლე. მა მაშასადამე, მათი აწერაც უფერულია.

ჰეი! ჰეი! რომ სუნდუკიანს მისი კალამი მათზედ მოუტდენია!

რაც შეეხება პიესის წარმოდგენას, მე მკონია, ავტორმა საყვედური ვერა სთქვას: პ. შიფიანიდან დაწყებული ნ. მომავილაძემ, რომელსაც უკანასკნელი როლი ჰქონდა პიესაში, ყველანი ჩინებულათ თამაშობდნ. არ იფიქროს ნ. მომავილაძე, რომ მე ის უკანასკნელ მოთამაშეთ მიმჩნდეს ტრუპაში და მიტომ მოვიხ-

მიეცით ამას ტახტი და ისეც მოანნე მრისხანე იქნება, მტანჯველი და მოქენჯნელი ქვეშემრდომებისა: ჯერ გულს გაიძღებს მათის სისხლით და მერე, როდესაც ამაოთ-მორწმუნეობის მცირე რამ ნიშანი გამოაფხიზლებს, მაგალითად: ან სიზმარს ნახავს, ან თვალს, ან წარბს, ან სხვა რამე უმღერებს, ან მღვდელი შეეყარა, ან კურდღელი გზას გადაუტრის, ან ძალი იზუილებს და ან სხვა რამე, მაშინ ერთბაშით ვარდება სინანულში და იხედება მალა ზეცისაკენ.

მიეცით ამ ვაჭარს, ტიტ ტიტჩის, უფროსობა სამახურში და ის იქნება იგივე მტარვალი ხელ-ქვეითებისა და როდესაც ფეხს წამტერებს, ჩავარდება უკიდურეს სინანულში, დროს გამობრუნებადლი.

ღამეცირეთ ეს ზვიადი ტიტ ტიტჩი და გახადეთ გლეხ-კაცთ და ეს მაშინ ქვეყნის მონობას ბინძურებამდი მიიყვანს, შეიხორცებს, მაგრამ თავის ოჯახში, თავის ცოლ-შვილში კი იმავე მტარვალით რჩება, თვის გულს ბუზხარს მათზედ ამოიყრის.

მართის სიტყვით, თავის ძირეულ ნასიხლ-ნახორცალ ხასიათს ყველგან გამოიჩენს.

ხასიათი და ზნე კი არ ასხვავებსთ ამ პირებს, მხოლოდ მოედანი: დილა — დილათ გარბის, პატარა — პატარათ. ძალა, სურვილი და მოქმედება კი ერთი-და-იგივეა.

აქედან სჩანს, რომ მსტროესკიმ, ვაჭრების ხასიათის გამოხატვის დროს, მთელი რუსეთი გამოხატა და დაგვანახა. მა ეს მიზეზია, რომ მსტროესკის ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის მწერლობაში.

ახლა ქალაქელი ვაჭრებიცა ენახათ, ის ვაჭრები, რომელთაც სუნდუკიანიც ეხება.

შინ არიან ეს ვაჭრები და რა ნაციას ეკუთვნებიან?..

ჩვენის ჰაზრით, ესენი არც ერთ ხალხს არ ეკუთვნიან! ისე, თავისთავათ ქალაქელები არიან... მხოლოდ მიუღიათ ერთის მხრით სომხებისაგან და მეორეს მხრით ქართველებისაგან ის, რაც მათ ხელობას, მათ ქალაქელობას გამოადგებოდა: სომ-

ხური ანგარიში და ყაირათობა და ქართული გულ-გაშლილობა და გულჩეილობა; მაგრამ ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ხან-და-ხან, როცა იარაღათა ხმარობენ და ქაელათ. მაგალითად, აბა თუ ვისმეს უნახავს, რომ ქალაქელი ვაჭარი ანგარიშის დროს ქართულათ ლაპარაკობდეს და ალერსისა და დარბაისლობის დროს სომხურათ? მერე მოახერხებენ!..

ძირეულათ იმათ არცარა ქართული აქვსთ და არცარა სომხური.

ისინი რამოდენიმე საუკუნის წინეთ ტიტველ-კანათ მოსულან საქართველოში, თავი შეუფარებიათ, მასპინძლებსაც შეუწყნარებიათ ისე, როგორც რიგია ყარბის შეწყნარებისა და მას შემდეგ იმათ მისთანა სამუშაო არა ჰქონიათ-რა, რომელიც ადამიანს სულით ამაღლებს.

უკანონო მონობაში და ყარიზაში შეიწირულ-ნელა გაძლიერებულან, ქვეშ-ქვეშა და უკადრისის იარაღის ხმარებით და დღესაც, თუმცა კან-შემოსილი არიან, მაგრამ მაინც ვერ იღებენ ხელსა ჩვეულ იარაღზედ



30,000 თოფსაო. რამდენიმე პირთ მოუთხანით მინისტრისაგან, ცნობის მართლა დაჰპირდა მმართველობა თუ არა საბერძნეთს ამ 30,000 თოფსაო, გაგზავნათ კიდეც ეს დაპირებული თოფები, თუ მომავალში ჰუიქრობს გაუგზავნოსო. მინისტრი ვალდებულია, რომ მტკიცე პასუხი მოგვიგოს ამ კითხვებზედაო, და თუ ეს ყველა სიცრუე გამოდგა, საჭიროა დავამტკიცოთ წინააღმდეგი და მოვრჩეთ ამ საქმესაო. ამხელე მუღჭერის (მინისტრთა რჩევის პრეზიდენტი) მიუგია: „არც სამხედრო მინისტრი და არც საფრანგეთის მმართველობა არასოდეს არ შეჰპირებია საბერძნეთს თოფებსაო. მართალია, საბერძნეთის მმართველობამ კი სთხოვა უცხო საქმეთა მინისტრს თოფები, და ამანაც გარდასცა ეს თხოვნა სამხედრო მინისტრს, მაგრამ მინისტრთა რჩევამ, რომელსაც თავის მხრით სამხედრო მინისტრმა აცნობა ეს თხოვნა საბერძნეთის მმართველობისა, არ შეიწყნარა ეს თხოვნაო.“

ამის შესახებ მამეტასაც უთქვამს: „მე არასოდეს არ გავრეულვარ მინისტრების საქმეში, არც არა რაიმე მოთხოვნისგან გამომდინარე არც ეხლანდელ კაბინეტი და არც ადრინდელიო.“

მღვდელს აბრამ ბალაშვს.

„ღვთის“ მე-23 №-ში წაიკითხე მ. ბ. ბალაშვის წერილი, რომელიც არის დაწერილი ეთოპურ პასუხად იმ წერილისა, რომელიც წასრულის წლის „ღვთის“ მე-262, 263 და 265 №-ში იყო დაბეჭდილი შესახებ თელავის სასულ. სასწ. ოლქის სამღვდლოთ ყრილობისა 30 და 31-ს გიორგობისთვის. თუმცა ხსენებულს წერილში არა ვითარი „მიდ-

გომა“ არ იყო, არც ტყუილი ფაქტები წარმოდგენილი, მაგრამ როგორც სჩანს თვით მ. ბალაშვის წერილიდან, ხსენებული წერილი გულში მოჰხვედრიათ სიღნაღის მაზრის სამღვდლოთ საზოგადოდ და კერძოდ მ. ბალაშვს, რომელიც ამ ნაირად მიმართავს რედაქტორს:

„გთხოვთ ადგილი მიჰსცეთ თქვენის პატივცემულის „ღვთის“ ნომერში ამ ჩემს პასუხსა გამოსაცხადებლად ნამდვილის ჭეშმარიტებისა და ჩემის თავის გასამართლებლად წინაშე თქვენის გაზეთის მკითხველთა.“

შემდეგ მ. ბალაშვი გარდადის იმ წერილში უსაფუძლო და შეუსაბამო ბრალდებებზე, რომელთა მოდანიშნულთ ბ. კორესპონდენტი იხსენიებს სიღნაღის მაზრის სამღვდლოთ და კერძოდ მე... თუ უსაფუძლო იყენენ „წერილმანი“ ბრალდებანი თქვენდამი, მ. აბრამ, რატომ ერთი-ორი მაგალითი არ მოიყვანეთ და თქვენის საფუძლიანის საბუთებით არ გაამტყუნეთ? საქმე ცარიელის, ლიტონის სიტყვების რახა-რუხი კი არ არის, საქმე გამტყუნებაა. თ. ბრ. მრბელიანისა არ იყოს — „სიტყვა სიტყვა, საქმე კი სხვაა“.

მაინცა და მაინც ყრილობის შესახებ წერილში არავითარი წერილმანი უსაფუძლო ბრალდებებზე არა ყოფილა, და თუ იყო რამე უსაფუძლო აზრები, ეგ თქვენის და თქვენის თანამოაზრეთა პირით იყენენ წარმოტყუილნი... ამას როდესაც გინდათ დაგიმტკიცებთ.

შემდეგ თქვენ, მ. აბრამ, სამს მუხლად წარმოადგენთ იმ ბრალდებათა, რომელთაც გდებენ თქვენ: მაგრამ, რადგანაც ეს ბრალდებანი მართალნი არიან, ორს პირველს მუხლზედ არასფერს გასამართლებელს საბუთს არ წარმოგიდგენთ; ამისათვის თამამად ვიტყვი, რომ ხსენ-

ლი ჰყავდეს მაყურებლები, და მხოლოდ ჰუიქრობს როლის სინამდვილეზედ. თამაშობს დაწყნარებით, მშვილობიანათ და სხვების გულის მოსაგებათ არას უმატებს. თქვენ ვერ შენიშნავთ, ბევრიც რომ ეცადოთ, მის სანხედ გადაჭარბებულ მოძრაობას და მიხრა-მოხრაში საოხუნჯო მანქანობას. მხოლოდ ხან-და-ხან, როცა როლი დაიწყდება ხოლმე, ჩოხის წმენდას მოჰყვება და თავზედ ხელის სმას; მაგრამ ესეც ისე მოხდენილათ მოუდის, რომ არაფერს უფუქებს.

ჰაველი მისი მიმიკა შესაფერია და ძალიან საგულისხმო. თუ გინდათ, სამაგალითოდ ავიღოთ ერთი მისი მიმიკა ზამბახოვის როლში:

როდესაც ზამბახოვი მიხვდა თუ ვინ ყოფილა ის ქალი, რომელიც მასისიანცს უწახავს, პ. შიფანი აკეთებს შემდეგ მიმიკას: ჯერ ცხვირზედ მიიდებს თითს, მერე შუბლზედ და შემდეგ გაიქნევს ხელს, რომლითაც ის ხატავს, რომ მიხვდირა ამავეაო. ცხვირზედ თითის მიდება რაღას ნიშ-

ნის ბრალდებებში თქვენც აღიარებთ თავს დამნაშავედ და რომ მართლა ბრალდებული ხართ სიღ. მაზრის სამღვდლოთი მაში კი არა — უფრო მომეტებულშიც — დაგიმტკიცებთ...

თქვენ მოგიკინიათ ხელი მესამეს მუხლითვის და გულადად გაძახით: „სიღ. მაზრის სამღვდლოთი აბამეთუ ესედილობით, აბამეთუ ესედილობით, აბამეთუ ესედილობით...“

ლიდი, დიდი გამგებლობაა და ამის წარმოტყმა მართლა მხოლოდ თქვენს გულადობას შეესაბამება!.. რათა, მაშაო, რად უწყრებით ეგრე თქელ. სასულ. სასწავლებელს? — როგორ თუ რათაო, აბა ყური დამიდგეთ რა საბუთები წარმოგიდგინათო, ბრძანებს მ. აბრამი:

1) „ნუ თუ ჰუიქრობენ თქელ. სასულ. სასწ. ზედამხედველი და მისი მოსარჩლე კორესპონდენტი ჩვენ არ ვიცოდეთ (გარწმუნებთ არ იცით!), რომ ეს სასწავლებელი სრულებით ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას; ყველაზედ (ყველა დანაშთენ სასულ. სასწავლებელზედ) მეტისმეტად სუსტი მამხადებულნი არიან ხოლმე ყოველთვის სემინარიაში შესასვლელად მასი მოწაფენი, რომ სემინარიის მთავრობაც ამ აზრისაა, და არა თუ ამას წინადა, არამედ თვით განვლილის 1880 წ. თელავიდან გაგზავნილ ყმარწილთაგან მიიღეს მხოლოდ იქ ერთი!“

ამ საცოდავის მაგალითისათვის ჩაუვლია კლანჭები მ. ბალაშვს უეჭველად იმ იმედით, რომ ეს საბუთი დაუზღვევლი და ჭეშმარიტია.

ამ მაგალითით თქვენ დაანახვეთ ქვეყნას, რომ თქვენ სრულიად უმცარნი ხართ თქელ. სასწ. საქმეებში. იმდენი არ გიზრუნვიათ, იმდენად თავი არ შეგიწუხებიათ, თუმცა ვალ-

ნავსო? მგება იკითხოვს ვინმემ, და აი რას: ჩვენში საზოგადოთ არის მიღებული „სუნიტ ეძებს საქმესო, სუნიტ მიაგნო“ და სხვ. მართლათაც, ზამბახოვისთანა კაცები ისეთ ცუდას და მყრალს საქმეებსა ჰკიდებენ ხელს, რომ სუნიტ უნდა ეძებდნ... იმ ხმებზედაშიდაც ჯერ სუნიტა ზამბახოვი: საიღამ მოდის ეს საქმეო; მერე ასწონა და შემდეგ გადასწყვიტა. მაშასადამე პ. შიფანის მიმიკა: ჯერ ცხვირზედ თითის მიდება, მერე შუბლზედ და შემდეგ ხელის შეტაკუნება ნამდვილი გულისტქმის გამომხატველი ყოფილა.

პ. შიფანის მეტათ ვრცელი რეპერტუარი აქვს; მაგრამ ჯერ კიდევ არ შეგვიძლიან გადაწყვიტოთ ეს საქმე, თუ რომელია მისი პირ-და-პირი ამბულა. ჰაველისფერს სინდისიანათ და ნიჭიერათ თამაშობს; მაგისი მოედანი ჯერ კიდევ წინ არის მართის სიტყვით, ჯერ-ჯერობით ეგ არის ქართული ტრუპის დედა-ბოძი და ტოლი არა ჰყავს.

დებულნი კი იყავით, როგორც დეპუტატები, რომ ის მაინც მოგიყვართ რამდენმა შეასრულა სწავლა თქელ. სასწავლებელში 1880 წ. და რამდენი მიიღეს! და რაიცა შეეხება წინა წლებსა, რაღა მოგახსენოთ, იქნება არც კი იცოდეთ, თუ წინადაც არსებობდა ეს სასწავლებელი... ნუ თუ ამ გვარის თქვენის სასწ. შესახებ საქმის უტოლინარობა არ ამტკიცებს თქვენს გულ-გრილობას, თქვენს უზრუნველობას თქვენის სასწავლებლისა და შეილთადმი?! და თუ ყველა მოვალეობას ამ გვარად ასრულებთ — ნეტარება თქვენს მრევლსა!

რომ შემდეგშიაც არ შეხვიდეთ შეცდომაში, მე წარმოგიდგენთ 1877 წლიდან ანგარიშს, თუ რამდენს შეუსრულებია თქელ. სასულ. სასწ. და რამდენი მიუღიათ სემინარიაში, ეგები ამით მაინც დავარწმუნო ურწმუნო სიღნაღის მაზრის სამღვდლოთათვის უსაფუძლო აზრში თელავის სასწავლებელზედ.

1877 წ. აქ შეასრულა სულ 11 მოსწილე. სამა არ მოინდომა სემინარიაში შესვლა; დანარჩენი რვა ყმაწვილიდან 6 მიიღეს და ორიდან ერთი ფიზიკურის ნაკლულებებისა გამო არ მიიღეს (ჩანაწერი) და ერთიც სულ სხვა მიზეზისა გამო (ფიზიკური).

1878 წ. აქ შეასრულა ორმა; მოსწავლემ და ორივე მიიღეს.

1879 წ. შეასრულა ორმა და ორივე მიიღეს;

1880 წ. შეასრულა ოთხმა; ამით-ში ორი მიიღეს (და არაერთი), ორი არა. ამ უკანასკნელებში ერთი გახლდათ გადმოსული მ. აბრამისაგან ნაქებ ტფილისის სასწავლებლიდან და იქ დამახინჯებულს და მოუშვადებულს თელავის სასწავლებელი, გენიოსად ხომ ვერ შეჰქმნიდა!


ნუ თუ ეს ანგარიში ცხადად არ

ხან-და-ხან როლი არ იცის, მაგრამ მაგითი ბევრს არას აშავებს, რადგანაც მხოლოდ სიტყვები, ავიწყდება ხოლმე, თორემ ხასიათი და თამაში როლისა ახსოვს და იცის და ამით ეს ნაკლულებანება ადვილათ სწორდება მოკანანახეს (სუფლიორის) წყალობით.

უფრო უარესი წუნი ესა აქვს, რომ სიტყვებს ჰყლაპავს და ხშირათ სასაცილო სიტყვები გამოუდის, როგორც მაგალითად ზამბახოვის როლში, უნდა ეთქვა, რომ „შვილები პატარები მყავსო“ და იმან კი ასე სთქვა: „შვილები პატარები მყავსო!“

იქედია, ამ ნაკლულებანებას ადრე თუ გვიან გაისწორებს. ამას გარდა დივერტიმენტში რომ არ გამოდიოდეს კარგს იზამს; იქ იმოდენათ სუსტია, რამდენათაც აქტიურობაში ძლიერი, განსაკუთრებით ლექსების კითხვაში.

გაყვი.



ამტყიცებს, რომ თქვენი აზრი მე-
ლაის სასწავლებელზედ უსაფუძვლოა
და რაღაც სხვა მიზეზით ჰსჯიან
ლობთ? ღარწმუნებით გეტყვით, რომ
მოსწავლეთა რიცხვის შემცირებით,
მომეტყულებს მომზადებულნი სემი-
ნარიაში შესასვლელად მელაის სა-
სწავლებლიდან გამოდიან.

თუ ასეა, მაშ რა ნება გაქვთ, რომ
გაიძახოთ: „როგორც ჩვენი სასული-
ერო მთავრობიდან მასზედ ყოველ-
წლიური დანახარჯი, ევროთვე თვით
ჩვენი სხვა-და-სხვა გვარი შესაწირავი
რჩება უნაყოფოდაა“!

თუ ამას იტყვით, რომ ეგრე ცო-
ტანი რაღ ასრულებენო,—აი რას გე-
ტყვით:

რადგანაც სამღვდლოებამ დააგვი-
ანა მოსამზადებლის კლასების გახს-
ნა,—შეგირდებიც არ იყვნენ საკმა-
ონი და, როდესაც 1875-ს წ. გაიხ-
სნა მოსამზადებელი კლასი,—შეგირდ
მოსწავლეთ რიცხმა იმატა. ამ 1881
წ. შესრულებს პირველი კურსი,
რომელსაც გაუვლია მოსამზადებელი
კლასი და ნახეთ, შემდეგ როგორ
იმატებს შეგირდების რიცხვიცა და
სწავლაცა. პარგად უნდა იცოდეთ,
რომ თუ ყმაწილს მოსამზადებელი
კურსი კარგად არ შეუთვისებია,—უფ-
როსს კლასებში მისი სწავლება და
გამოყენება ძეგლია. წინად როდესაც
მოსამზადებელი კლასი არ იყო,—
ძალა-უნებურად უნდა მიეღოთ შე-
გირდები, რომ რამდენიმე მაინც დამჯ-
რიყო კლასში...

აი ამ მოსაზრებით ხელმძღვანე-
ლობდა ზედამხედველი, როდესაც
იმედს აძლევდა სამღვდლოებას, რომ
სასწავლებელს გავაუმჯობესებთო. მ.
ბალაყეს-კი ავიწყდება ყველა ეს და
თავისებურის სითამამით გაიძახის:
„ნუ ჰფიქრობენ ყველანი დააჯერონ
ებლაც კიდევ აქ ცარიელის იმედები-
თო! ბაჩა 1874 წლიდან ცოტა დროა
განვლილი, თუ—კი შეუძლიათ რა-
მეო“? ჯერ საჭიროა ვესთქვა ესეც,
რომ 1880 წ. სემინარიაში მიღებულ
ყმაწვილთაგან თვით სემინარიის მთა-
ვრობა დარწმუნდა, რომ მელ. სასულ.
სასწავლებელმა ბევრით გაასწორა სწა-
ვლით მთელისისა და მუთისის სას-
წავლებელთ და ზოგიერთს საგნებ-
ში-კი ყველა სასწავლებელთ. თუ
არ გჯერათ—იხილეთ სემინარიის მთა-
ვრობისაგან გამოგზავნილი ეგზემენი-
ების ანგარიშები. ამისათვის მ. აბრა-
მისაგან წარმოთქმული აზრი-სემინა-
რიის მთავრობა კიზიყელ სამღვდე-
ლოთ აზრისააო თელ. სასულ. სასწ.
შესახებ თვით ბ. ბალაყის და მის
თანამოაზრეთ აზრით რჩება... აი რას
ამბობს თ. ს. სასწ. რევიზორი ბ.
ბრიგორეცკი:

„სწავლა მელაის სასულიერო სა-
სწავლებელში, შედარებით საქარ-
თველოას სხვა სასულ. სასწ., კარგად
არის დაყენებულიო“. და რადგანაც
თქვენი საბუთები ცრუნი არიან ამი-

სათვის ცხადია, თქვენი სიამაყე და
ჯიუტობა და არა ჭეშმარიტება, სი-
მართლე და თქვენი შეილებიდან
ზრუნვა გაძულებსთ თქვენ ძახელთა-
გან ვანცალკევენასა...

რ. მამსაშვილი.

თელავი, 10 თებერვალს.

(დასასრული შემდეგ)

განცხადებანი

არწრუნის თეატრში

ოთხშაბათს, 18 თებერვალს

ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება

I

ჯერ დანიშნენ

მერე დამოწმდნენ

მოდელი 2 მოქმედ. რ. მრისთვისა.

II

გიმიასთან გამოსუმრება

მოდელი 1 მოქმედ. რ. მრისთვისა.

III

ლივარტისმენტი

პარასკევს, 20 თებერვალს

I

პ რ ი ს ტ ა ვ ი

მოდელი 2 მოქმედ. რ. მრისთვისა.

II

მ რ ტ ი ა

მოდელი 1 მოქმედებად.

ბილეთები ისეიდება არწრუნის თეა-
ტრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

თუილისს გიგანაზიის კედაზოგიურ
რეპრისაბან

26 სექტემბრს ამა 1881 წელს,
მართებლობის ნებართვით, იდგესაწა-
ვლებს თბილისის გიმნაზიის ორმოც-
და ათი წლის ასრებობა.

პედაგოგიურ რჩევის მანდაბილე-
ბით, ერთი გიმნაზიის მასწავლებელ-
თაგან ამაჯავებს ამ დღისთვის ის-
ტორიულ აღწერას ამ სასწავლებლი-
ს. სამწესწაროდ, თბილისის არწრუბ-
ში არ აღმოჩნდა გიმნაზიის ისტო-
რიისათვის ბევრი უსაჭიროესი მასა-
ლები (დოკუმენტები), რის გამო ის-
ტორიული აღწერა ძალა-უნებურად,
სუსტად გამოდის. ამისთანავე, რაც
მასალებია, ისიც მომეტებული ნაწილი
ოფიციალური და ფარმალური ხასია-
თის აღმოჩნდა. ამისთვის პედაგოგიური
რჩევა მიჭმართავს ყველა იმ მრავალ
პირობა, რომელნიც თბილისის გიმნა-
ზიის მასწავლელთ ყოფილან, და
სთხოვს დაეხმარან მას ამ საქმეში ყა-
ველგვარ ამ გიმნაზიის შესახებ, ცნო-
ბის წარმოდგენიან, რაც შეიძლება მო-
კლე ხანში, განსაკუთრებით შესახებ
გიმნაზიის მინიგან წყობილობისა:
სწავლის მსგავსობის ანუ მეთოდისა,
ან რომელიმე გამოჩენილი მავლინე-
ბისა, მასწავლებელთ ხასიათებისა,
უფროს პირებისა და, საზოგადოთ ყვე-

ლასი, ვისაც რაიმე მონაწილეობა
მიუღიან ამ მთელ კავკასიის მხარეში
უძველესის სასწავლებლის ბედში,
სადაცმაც გამოსულან გვრე მრავალი
რიცხვი სხვა და სხვა გვარ მომქმედ
არია, რომელთაც უმრავლესთ და ეხ-
ლაც შრომათენ ყოველგვარ ასაბრე-
ზედ ჩვენს მხარეში.

ეს ცნობები უნდა გამოიგზავნოს
თბილისის გიმნაზიის დირექტორის
სახელზედ (3—1)

აღმოკატბა

ვვანი დიმიტრის ამა ტიხომიროვმა

გათავა რა საქმეები მუთათში, გად-
მოვიდა თბილისში, და ამით აცნო-
ბებს თავის კლიენტებს და საქმის რჩე-
ვის მსურველებს; რომ ის მიიღებს
იმათ დილის 8—11 საათამდინ და სა-
ლამოს 5—8 საათამდინ. ბოლო-
ენის პროსპექტი „პარიფის“ სასტუმ-
რო № 3. (3—2)

ისაიდება ჩაი გირვანქებით, ნამ-
დვიდი ბრატია ჩ. მ. შაშვას. მ-
ნეთში ოთხი გზევიცა გამოიქცევიო.
არწრუნის ქარვასლაშია, სიონის სო-
ბორას ხელა, ივნიე აღსაზოვის კან-
ტონაში. (3—2).

ინგლისის მალა- ზია

Maison de confiance

კარავი წყნისა—1 მ. 10 გ. მალაზიისა—1 მ. 40 გ.

— — — 1—20	— — — 1—60
— — — 1—40	— — — 1—80
— — — 1—60	— — — 2—
— — — 1—80	— — — 2—50

საუკეთესო—2— — — 3—

იქვე ისაიდება სხვა საქონელიც:
თოფები, რევოლვერები, კრაოტები,
ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, და-
ნები, კოვები, ტაშტები, კალმები,
ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფე-
ტები, მურაშები, მაგნეზია, უნაგირი-
ბი, კლიონკა, წინდები—კაცისა და
ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ
კალენკორი—სულ ყველაფერი 25.
დამ 50 პროცენტით უფრო იაფად,
ვიდრე სხვა რომელსამე მალაზიაში,
მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-
დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა-
მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ
იხდის. (100—97)

ლონდონის მალაზია კომერციული
ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის
გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-
გალითები: თოფებისა, რევოლვერებისა,
კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა,
დანებისა, გოგუებისა, ჩაინიგებისა, შო-
კოლადისა, კაკაოსი, ღუხებისა, საპონი-
სა, შოკოტებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-
ღაღდისა, კრანდაშებისა, კაღებისა, უნა-
გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშე-
გინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-

კინტონის მოსასურველს სასწავლად
კანფეტების და სატყეოსა და სხვა
რამისა, აგრეთვე ჩუღებისა და წინდ-
ებისა ნოტისგამადამ. ნამდვილი ქაგასს
სიგარები. (100—210)

ლონდონის მალაზია

პრენის მოედანზე № 2, კომმერ-
ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია
წმინდა ძიხტის და ჩინეთის პირველი
მოწვევის ჩაის გასაყიდლად და ასაუ-
კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-
გალითად: თოფების, რევოლვერები-
სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდონის)
კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე,
ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-
ლი სუკრის ერბო, სასურნებელისა,
საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი
წინდების, ჩუღების, კარანდაშების,
ჩაინის კალმების და სხვ... (100—38)

მიუხედავად იმისა, რომ ბაჟა მოი-
მატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფა-
სად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი
1 მ. 5 გ. და 1 მ. 10 გ.; საუკეთესო
მინიგო 1 მ. 20 გ. და 1 მ. 40 გ.;
მშვენიერი კასისა 1 მ. 60 გ. და 1 მ.
80 გ. ძირეულ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა
უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40
მანეთამდინ და თოფები 20—200 მ-
ნეთამდინ. ინგლისის მალაზიაში.
სააგენტო პარსისის უნაგრების გასას-
ყიდლად, ჭრისის კლიტებისა, შოკო-
ლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრანს,
რომელთაც დაიმსახურეს შარაფის მსოფ-
ლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი.
გირვანქა არმატიული ჩაისა ღამაში
ჩაინიგით 1 მ. 65 გ. და სულ საუკეთე-
სო 2 მ. 30 გ. გავრები მოიგებენ, თუ
იყიდათ ბლამით ინგლისის მალაზიაში.
მთელი კონსტიუმი 15 მ. სველების კონ-
ფეტები 60 გ. ერთი გირვანქა.

100—27

თბილისის ცხოველთ დამოკრეფილი
საზოგადოება იწვევს ბ. წევრთ, ამ
საზოგადოების საზოგადო ყრილობის
სხდომასზედ 20 თებერვალს, შაბათს,
8-ს სასკვარ საათზედ, სალამოს, კავკა-
სიის სამეურნეო საზოგადოების სად-
გომში. გასარჩევი საგნები:

ა) მისკოვის გამოფენისათვის დანი-
შნული ნივთების გარდათავადიერება.

ბ) საზოგადოების გამოცეპების გან-
სილგა და ღონის-ძიება მათ გასავრცე-
ლელად.

გ) წევრის ა. მინეკის წინადადება და
სხვ.

გარეშე პირნიც მიიშვებიან სხდომა-
ზედ.

ბ. წევრთ ვაგონებთ ამ წლის სა-
წევრო გარდასასადის შემოტანას.

(3—2).

ისაიდება ყოველ-გვარი თუჯისა
და სპილენძის ნივთები გადსაღონ-
ბად—წმ. ბიორგის ეკლესიისთან,
მდივანის სახლებში, კახურ ღვინის
სარდაფში. (25—19)